საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) 114^4 მუხლის 1^1 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს იმავე ნაწილით გათვალისწინებულ დაწესებულებებზე ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ^1“ და „ბ^2“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ამავე კოდექსით განსაზღვრული დებულებების ეტაპობრივი გავრცელება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 მარტი 2021 წ.

N373-IVმს-Xმპ